საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტი

საჯარო სამართლის იურიდიული პირი
იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო
უნივერსიტეტის რექტორის

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №1/230

ქ. თელავი

29 მაისი 2015 წ.

იაკობ გოგებაშვილის სახელობის თელავის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად კონკურსის გამოცხადების შესახებ

უმაღლესი განათლების შესახებ საქართველოს კანონის 22-ე, 34-ე და 35-ე მუხლების, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 3 სექტემბრის N122/ნ-ე ბრძანებით დამტკიცებული ,,საჯარო სამართლის იურიდიული პირის"- „შემდგომში უნივერსიტეტის" - წესდების 25-ე, 26-ე, აგრეთვე, უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს მიერ 2014 წლის 30 მაისს დამტკიცებული „აკადემიური პერსონალის სამსახურში მიღების ერთიანი წესის" შესახებ დებულების მუხლი 4.2 „ბ" ქვეპუნქტის, სოციალურ მეცნიერებათა ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტის საბჭოს 2015 წლის 27 მაისის N5 ოქმის, აკადემიური საბჭოს 2015 წლის 28 მაისის N 23 დადგენილების საფუძველზე

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ

1. გამოცხადდეს კონკურსი 4 (ოთხი) წლის ვადით სოციალურ მეცნიერებათა, ბიზნესისა და სამართლის ფაკულტეტზე აკადემიური თანამდებობების დასაკავებლად 2015 წლის 29 მაისიდან შემდეგ მიმართულებებზე:

   ა) **სისხლის სამართლის მიმართულებით**
   ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე;
   ბ) **კერძო სამართლის მიმართულებით**
   ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე;

გ) საჯარო სამართლის მიმართულებით
ასოცირებული პროფესორის 2 საშტატო ერთეულზე:
საკონსტიტუციო სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;
ადმინისტრაციული სამართლის მიმართულებით ასოცირებული პროფესორის 1 საშტატო ერთეულზე;

2. კონკურსში მონაწილეთა რეგისტრაცია დაიწყოს 2015 წლის 2 ივლისიდან და დასრულდეს 2015 წლის 10 ივლისს 17[00] სთ-ზე.
3. საბუთების მიღება განხორციელდეს უნივერსიტეტის I კორპუსის II სართულზე № 39-ე ოთახში, შაბათ-კვირის გარდა;
4. კონკურსის ჩატარების დღედ განისაზღვროს 2015 წლის 21 ივლისი;
5. დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას (მ. ბეჟანიშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის საინფორმაციო დაფაზე;
6. დაევალოს ინფორმაციული ტექნოლოგიების სამსახურის წამყვან სპეციალისტს (თ.ხოტენაშვილი) ბრძანების განთავსება უნივერსიტეტის ოფიციალურ ვებ-გვერდზე;
7. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე;
8. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს მისი ძალაში შესვლის დღიდან ერთი თვის ვადაში თელავის რაიონულ სასამართლოში (მის: ქ.თელავი, დ. აღმაშენებლის N 41).

შენიშვნა: აკადემიური თანამდებობის პირები სახელფასო ანაზღაურებას მიიღებენ იმ დროიდან, როდესაც სამართალმცოდნეობის საბაკალავრო საგანმანათლებლო პროგრამაზე ექნებათ შესაბამისი საათობრივი დატვირთვა (შენიშვნა წარმოადგენს ბრძანების განუყოფელ ნაწილს).

უნივერსიტეტის რექტორი ბრმა შიოშვილი